


განმანათლებლის უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2019 წ. აპრილი * №60 * ფასი 2 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ვაჟა ჯანაშია
მედიისა და კომუნიკაციების

ს ა ქ ა ნ თ ე კ ე ლ თ
მ ა ნ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ ნ ბ ი
ს ა ს ე ლ მ წ ი ფ თ ა

უ ა ე უ ლ
ე ნ ა
ს ა ზ წ უ ნ ა ე ბ ა

ჯიხეთის ეკლესია, გურია

კოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დახრება საქართველოში (1987-1992 წ. წ.)

გვ. 3,5,7

რა სურს სურმალეთში?

გვ. 8

გოჩა გვასალია - ატავისტური გადმონათობა...

ლეილა ტომაია

(ატავიზმი - ლათ. atavus პაპის პაპის მამა, შორეული წინაპარი. ბიოლოგიურად კი, ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენა, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისათვის. საერთოდ, რისამე გადმონათობა)

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მტრების აბსოლუტური უმრავლესობა, სისხლადრეული ან გვარგადაკეთებული „ქართველები“ და უშიშროების სამსახურებთან ასოცირებული პირები იყვნენ, რომლებიც ისე ისხლტდნენ ნათელს, როგორც მინა - მზეს. ისინი ისე დააფრთხო 80-90-იანი წლების დიდმა ეროვნულმა გამოღვიძებამ საბჭოური ინტერნაციონალიზმის

წინვანადან, რომ დაკარგეს გონი და აღიძრნენ ძღვევის იმპულსით. თუმცა, არავინ და არაფერი ემუქრებოდათ, არამედ, მათი ერთადერთი მოვალეობა იყო პატივი ეცათ და მხარი დაეჭირათ ავტოქტონური ერის ერთიანი ნებისთვის - მოეპოვებინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჰყოლოდათ ეროვნული ინტერესების გამტარებელი დამოუკიდებელი მთავრობა.

გოჩა გვასალია, რომლის არსებობა მე მხოლოდ 2014 წელს შევიცყვი, აღექსანდრ დუგინის სატელიტი, ევრაზიის ინსტიტუტის მთავარი იდეოლოგი და ტრიბუნი აღმოჩნდა. თუმცა, ჩემი გაზეთის მეშვეობით, იგი ეროვნული იდეალებისა და ზვიად გამსახურდიას პოზიციის გამტარებლად მომევიწინა (ზვიადის

მომხრეობის გამო ვიდევნებოდი და მეგობრებიც დავკარგე). გაზეთში რამდენიმე ვრცელი სტატიაც დაეუბეჭდე და მცირედ ჰონორარსაც ვუხდიდი, სახლშიც მსტუმრობდა და როცა მიტინგებზე მოვიხმობდი, მოსვლას არ თაკილობდა. ერთი კი საჩინო იყო, ეტყობოდა, რომ მიტინგებზე დგომას არ იყო ჩვეული, პლაკატის დაჭერაც ეხამუშებოდა და თხა და გიგოსავით ეჭირა-ხოლმე(ის. ფოტო, ჩემს მოპირდაპირედ გვასალია, წინა პლანზე).

გვასალიას ფიცილი და მტკიცე ილი, თითქოს ზვიადის მომხრეობისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლობის შესახებ, სიცრუე აღმოჩნდა. მისი პირობაც, რომ ჩემთან ერთად აქტიურად ჩაერთვებოდა ეროვნულ მოძრაობაში

და ერთ-ერთი ლიდერიც იქნებოდა, სულ ტყუილ პირობად დარჩა. Facebook-ზე დადებული მისი სტატუსები, არამც და არამც არ ემთხვეოდა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებებს, რაზედაც საჯარო პოლემიკის გამართვა მიწევდა მასთან. იგი წიგნიერი, განათლებული, 60 წლამდე ასაკის უცოლ-შვილო, დედისერთა კაცია და პაპავას რექტორობის დროს მიიწვიეს ლექტორად მცირე სასწავლო საათებით სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ, როცა უნივერსიტეტიდან იმ პერიოდში დაითხოვეს მრავალწლიანი სტაჟის ლექტორები, რის გამოც, უნივერსიტეტის დერეფნებში სტუდენტების პერმანენტული აქციები

გაგრძელება გვ. 2

ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე

დასაწყისი გვ. 1

მიმდინარეობდა. გორა გვასალიას საბჭოთა ჯარი მოხდელი ჰქონდა და მას უკრაინაში „სვიაზისტად“ უმსახურია. ცნობილია, რომ ჯარში გამწესებულთათვის, ეს სპეც-საიდუმლო სამსახურია. გვასალიას, გვარის გარდა, არაფერი აკავშირებს სამეგრელოსთან და მისი გვარის ნამდვილობასაც ეჭვობენ... რაზეც, მისი, ქართველებისადმი სიძულვილით გაჟღენთილი სტატიებიც მიგვანიშნებს. საილუსტრაციოდ ქვემოთ დავდებთ მოზრდილ ციტატას მისი ერთ-ერთი სტატიისა. მანამდე კი გაგაცნობთ გორა გვასალიას სავტორო ბლოგზე („თეირონის ვარდი“) 2018 წლის 14 ოქტომბერს დადებული სტატიის ამონარიდებს:

„ზვიადის წყეული პრეზიდენტობა თავიდან ბოლომდე ვიხილე. ჯერ ზვიადმა მოახდინა ეროვნული მოძრაობის უზურპაცია“.

„ეროვნული მოძრაობა ქვეყნის ჭირი იყო. ამ მოძრაობამ დაანახა მთელ დუნის ქართველთა უუნარობა. წლები გადის და სულ უფრო რელიეფურად ჩანს 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის სიყალბე. ჩამკვდარი და განადგურებულია ეროვნული სული ქართველებში და ასე იქნება მომავალშიც!“ (გვასალიას სურვილისმიერი წყეულა - ლ.ც.)

„შევარდნაძე რომ არ ჩამოეყვანათ და ქვეყნის სათავეში ყოფილიყო ზვიადის დამამხობელი ოპოზიციური კოალიცია, უარესი საძაგლობა იქნებოდა საქართველოში“.

„ზვიადის მისტიფიკაცია დაიწყო სააკაშვილის პრეზიდენტობიდან და გრძელდება დღემდე. შევარდნაძის თვალმიუწვდომმა სიცრუემ ასულდგმულა გაკოტრებული ზვიადიზმი და ხელი შეუწყო პოლიტიკური ლეგენდის შეთხზვას ტანჯულ და შეწირულ ზვიადზე“.

„შევარდნაძეა დამნაშავე იმაში, რომ ზვიადიზმი დღემდე ბოგინებს. ხომ თავი გამოიღო ზვიადის დასამხობად და საქართველოს მეფე გახდი? მოიშორე ის ძველი მნიკვლი, ქვეყანას ემსახურე, რეფორმები გაატარე, 90-იანი წლების შანსი გამოიყენე. მას რომ ეს გაეკეთებინა, დიდებით შევიდოდა საქართველოს მატინეში“.

„კიდევ იმან ასულდგმულა ზვიადიზმი ასე დიდხანს, რომ შევარდნაძემ ამერიკელთაგან გაძევების შემდეგ გაზეთებში ინტერვიუები აბნია და თქვა, რომ ზვიადი ეროვნული მოღვაწე იყო. ეს იყო თავლაფდასხმული, გალანძღული და გაგდებული ბერიკაცის შეცბუნება და ახალი ტყუილი. ზვიადის ლეგენდა სააკაშვილის მოსვლის შემდეგ უფრო გაიბერა. მან დაამარხინა ზვიადი მთანმინდაზე 2007 წელს“.

„ზვიადმა თავის დამხობამდე მოახდინა ეროვნული მოძრაობის უზურპაცია და ის ზვიადთან ერთად სამუდამოდ მოკვდა. ზვიადმა დათარსა საქართველო და ეს თარსი ქართველთა მრავალ თაობას გაჰყვება. ზვიადმა დარგო ბოროტების ნერგი და მისი ფესვები მთელ საქართველოს სწვდება“.

„ზვიადი რომ გადამდგარიყო 1991 წლის დეკემბრის დამდეგს, ან ცოტა



ადრე, ყველა მის ნარმალს, ასევე მისი ცოლის საპოლიტიკო გაბუდაყებას ხალხი მალე დაივიწყებდა. შევარდნაძისა და მისი გარემოცვის ზნე და ქცევა დაავიწყებდა ხალხს ზვიადის ყველა არაკაცობას...სხვისი შვილები შეეწირნენ შენს სიგიჟეს, შენს მწამლავ ლაპარაკს. ოჯახები გადაჰკიდეთ ერთმანეთს და შენ კიდევ სახარებიდან ციტატები მოგყავდა. უბედურებითა და სისხლით ნეტარები!“

„ზვიადი გულშავი და თარსის ამტეხი კაცი იყო. საკუთარი არაკაცობა ბიბლიას ამოაფარა... პრეზიდენტი კაცი ცოლსა და ცოლისდას ეთრევიებოდა და ექელინებოდა. ხალხმა ზვიადი აირჩია პრეზიდენტად თუ მანანა?“

„თენგიზ სიგუა, რომელიც დიდად ირჩეოდა მის გარემოცვაში, გააქცია ზვიადმა და მასაც თათხვა დაუწყო. ...ნალენჯიხიდან, ხობიდან, აბაშიდან ჩამოყვანილი ყარაჩების იმედი ჰქონდა ზვიადს“.

„ვინც ქვეყანამ შეღავათით, თვალის მოხუჭვით, გულისმიერობით აირჩია პრეზიდენტად, ის ხორველად და სამსალად იქცა ყველასათვის. საქართველოს უცუდესმა კარმამ და ქართველთა ცასანვდენილმა ამპარტავნებამ მოუფლინა ერს ზვიად მაცდური. გამოცდილების უქონლობამ კი არ დალუპა ზვიადის მთავრობა, როგორც ეს ითქვა „მოქკავშირის“ იდეოლოგიის შემქმნელის გურამ თევზაძის მიერ, არამედ ქართველთა მტარვალურმა ზნემ, ცრუ რაინდობამ, ნაცარქექიობამ და ზვაობამ“.

„9 აპრილის სასაკლაოს მოწყობაში ბრალი უპირველესად მიუძღვის ზ. ჩათლახურდიას და არა გენერალ როდიონოვს. 9 აპრილი იყო ის ოინი, რამაც არამზადა ზვიადი ქვეყნის სათავეში მოიყვანა. .. 9 აპრილის დროს ზვიადს გადამალული ჰყავდა თავისი შვილი პირველი ცოლისაგან – ყონყლოყინე. ეს ნლობით დამალული ვირთავა ახლა გამოდის და თავისი მამის გზის გამგრძელებლად ასაღებს თავს. ისევ ისე აგინებს რუსებს, ისევ ისე სდებს ბრალს მავანთ კრემლის აგენტობაში, ისევ ისე აქეზებს ჩეჩნებს, როგორც ყოველივე ამას მისი წყეული მამა იქმნა.... ზვიადს მიუძღვის ბრალი იმაში, რომ სამეგრელოს სოფლები ჯაბა იოსელიანმა დაარბია. ეს ზვიადმა გაახელა მეგრული პროვინციალიზმი თავისი საძაგელი ლაპარაკით“.

„როგორ დაიბნა და მოინელა ამდენი ბოროტება ამ ციცქნა ქვეყანამ? ადრეც ასე იტყვდა და იხელებდა. საქართველო არის უბედურების, უცხოთა მარადიული ყმობისა და

კინტობის სიმბოლო. ქართველი ხალხი კი მუდამ სიცრუის იალაღზე გაშვებული ნახირია“.

ახლა კი შეპირებული ციტატები 2013 წლის 29 მარტს ევრაზიის ინსტიტუტის საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალზე დადებული გორა გვასალიას სტატიიდან „მედასავლეთეობა საქართველოში თავის ბოლო დღეებს ითვლის...“: „...დავით თარხან-მოურავის ალიანსი ფაქტიურად ახალ სიცოცხლეს სძენს გაკოტრებულ ქართულ ნაციონალიზმს და ალბათ, გადაიქცევა სოლიდურ პოლიტიკურ ძალად. შესაძლებელია, რომ კიდევ შეიქმნება სხვა ოპოზიციური გაერთიანებები. უკვე არსებული პარტიები („სახალხო კრება“, „საქართველოს ლეიბორისტები“ და სხვ.)



ერთიანდებიან ივანიშვილის წინააღმდეგ. ჩემი აზრით, უკმაყოფილება და აღშფოთება, რომელიც გამოწვეულია ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკით, გადაიზრდება ღია წინააღმდეგობაში.

მიმდინარე ვითარებაში რუსეთმა უნდა გაატაროს უფრო მტკიცე პოლიტიკა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. რაც შეიძლება ნაკლები დიპლომატიური რევერანსები და მეტი მოქმედება! ევრაზიელობისა და დიდი მიწის პოლიტიკა არის რუსეთის ბუნებრივი საქმე. საჭიროა ძალთა მაქსიმალურად დაძაბვა, რათა მთელ ევრაზიაში მთლიანად ლიკვიდირებულ იქნეს იმ კატასტროფის შედეგები, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის მოლატეობრივი დაშლით...

...ყველაზე საჭირობოროტო ამოცანა ისაა, რომ აუცილებელია ერთიან ფრონტად შეიკრას ევრაზიული ორიენტაციის ყველა ადამიანი სა-

ქართველოში. ამ მომაკვდავი ქვეყნისათვის (საქართველოსთვის - ლ.ც.) ბუნებრივი საქმეა ევრაზიულ კავშირში რეინტეგრაცია“.

ახლა თავად განსაჯეთ, რამდენად არის გვასალია გენეტიკურად ქართველი!

გვასალიას წინააღმდეგ მცირე რეპლიკა დაწერა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ნიკა მაჭუტაძემ 2014 წელს ფეისბუქში, რამაც განარისხა გვასალია და რადგან მაშინ მაჭუტაძე კონსტანტინე უმცროსი გამსახურდიას პარტიის წევრი იყო, გვასალიამ კონსტანტინეს მოსთხოვა ბოდიშის მოხდა. კონსტანტინესა და გვასალიას შორის ურთიერთობა კრიტიკულ ზღვრამდე დაიძაბა. საგონებელში ჩავარდნილმა ბატონ გურამ პეტრიაშვილსა და საზღვარგარეთ ემიგრირებულ ალექსანდრე სანდუხაძეს ვთხოვე ჩარევა. მათი თანხმობისთანავე, კონსტანტინე, გვასალია და მაჭუტაძე ტკბილ სუფრაზე დავპატივე ჩემთან. საზღვარგარეთიდან, შამპანურის „ბოკლით“ სკაიპით ჩაგვეერთო ალექსანდრე სანდუხაძე. მოწვეულ მოქიშპეებსა და შემრიგებლებს შორის რამდენიმე საათიანი საუბრების შემდგომ ნიკა მაჭუტაძემ დიპლომატიურად მოიბოდიშა, რამაც არ დააკმაყოფილა გვასალია, მაგრამ ბატონ გურამ პეტრიაშვილისა და სანდუხაძის მცდელობით ერთობლივად შევძელით სი-

ტუაციის მნიშვნელოვნად განმუხტვა და ეს ღიმილიანი ფოტოც გადავიღო ირაკლი შონიამ.

შეგებამოცემულემა ჩავთვალეთ, რომ კონფლიქტი ამონურული იყო, მაგრამ ორიოდ თვეში, გორა გვასალიამ, ჩვენდა გასაოცრად, თავის ბლოგზე („თეირონის ვარდი“) დადო ჩვენი სიძულვილითა და ქილიკით გაჟღენთილი ვრცელი სტატია და ირაკლი შონიაც ზედ მოგვაცოლა, რომელმაც მხოლოდ ფოტოები გადაგიღო და მალევე დაგვტოვა. იმისათვის, რომ არ გაღრმავებულიყო მტრობა, კონსტანტინემ (რომელსაც აქაც „ყონყლოყინედ“ მოიხსენიებს), შონიამ და მე გადავწყვიტეთ, აღარაფერი გვეპასუხა გვასალიასთვის.

ახლა, თავად განსაჯეთ მკითხველნო, აქვს თუ არა ამბოხი და კონფლიქტი გორა გვასალიას თავის ატავისტურ ძირებთან, რამაც უსამშობლო, უბედურ კაცად აქცია იგი!

საიდუმლო დოკუმენტები 9 აპრილის შესახებ

**ავტორი
ნონა აჭაღლიშვილი**

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 27 წლის თავზე „საქართველოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო ფონდებში დაცულ საიდუმლო დოკუმენტებს.

დოკუმენტები ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის დირექტორატის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ 1989 წლის აპრილში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ მომზადებულ ანალიტიკურ ცნობებს მოიცავს და ეხება არა მარტო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, არამედ იმ პოლიტიკურ დაძაბულობასაც, რომლის პიკიც 9 აპრილის ტრაგედია იყო.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ საგანგებოდ 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მთლიანი მასალა 9 დოკუმენტისგან შედგება და 1989 წლის 6 აპრილიდან 27 მაისამდე პერიოდს მოიცავს. შინაარსობრივად ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო დოკუმენტებში განთავსებული მასალები შეეხება „პოლიტიკურ არეულობას საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებით“, „აფხაზეთის პირველი მდივნის გადაყენებას და თბილისში დაწყებულ დემონსტრაციებს“, საპროტესტო აქციების ძალადობაში გადაზრდას, ეგრეთ წოდებულ დაძაბულ სიმშვიდეს და სხვა. მასალებს შორისაა „საუბარი ქართველ დისიდენტთან“, რომელშიც ასახულია ლენინგრადში შეერთებული შტატების საკონსულოს ოფიცრის 1989 წლის 27 მაისს თბილისში ვიზიტის ამსახველი მოხსენება და გადმოცემულია საკონსულოს წარმომადგენელსა და ეროვნული მოძრაობის ლიდერ ზვიად გამსახურდიას შორის გამართული საუბრის შინაარსი. ზოგადად, დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და სპეცსამსახურები ინტენსიურად აკვირდებოდნენ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებს, თუმცა ადგილზე ფაქტობრივ ინფორმაციაზე წვდომა ძირითადად საბჭოთა და საერთაშორისო პრესით გავრცელებული ცნობების



საშუალებით ჰქონდათ. როგორც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან ავალიშვილი ამბობს, 9 აპრილთან დაკავშირებული საიდუმლო დოკუმენტები პირველად ქვეყნდება და წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორ იყო აღქმული საქართველო მიმონერაში და რა ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდებოდა ანალიზი:

„ძირითადად ის განწყობა, რომელიც შეიქმნა საქართველოს-



თან მიმართებაში, წარმოდგენა, მაგალითად, რომ მკვეთრად ნაციონალისტური მოძრაობა იყო ჩვენი ეროვნული მოძრაობა და მიმართული იყო, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია, რომელზეც შემდგომ აეგო უკვე შეერთებული შტატების და, მათ შორის, ევროპული ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ მხარდაჭერის კუთხით, დაყრდნობილი იყო სწორედ ინფორმაციის არქონაზე, საკმარისი ინფორმაციის არქონაზე“.

1989 წლის 8 აპრილს, მაგალითად, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საიდუმლო სამსახურების სახელზე იგზავნება დაშიფრული ცნობა, რომელშიც საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ეთნიკური კონფლიქტის დასაწყისადაა შეფასებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თბილისში შემოვიდა ჯარის დამატებითი ნაწილები, რათა აკონტროლოს დაახ-

ლოებით 100 000 ადამიანისგან შემდგარი საპროტესტო აქცია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აცნობიერებდნენ მოსალოდნელი კონფლიქტის დაწყების საფრთხეს და პარალელს ავლებდნენ მთიანი ყარაბაღის საკითხზე დაწყებულ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტთან.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიტიკოსები ამ პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებში ეროვნულ მოძრაობაში შემავალ პარტიებს სწორედ ქართველ ნაციონალისტებად მოიხსენიებენ. „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარის ნოდარ ნათაძისთვის არც მაშინ და არც ახლა ამას უარყოფითი დატვირთვა არ აქვს, იმის მიუხედავად, რომ მისთვის ცნობილია, როგორ აფასებენ ტერმინს დიპლომატიურ წრეებში:

„ერთხელ მე ერთ დიპლომატს, საქართველოში აკრედიტებულს, ევროპულ დიპლომატს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის, ვთხოვე კონსულტაცია. აი, მეთქი, ამ კონტექსტში, ამ დოკუმენტში მე მინდა ვიხმარო სიტყვა ნაციონალიზმი დადებითი მნიშვნელობით და როგორ იქნება ეს აღქმული. იმან მითხრა: ცალსახად უარყოფითად. ჩემი აზრით, ჩემი აზრით, ჩვენ ამას, აი, ამ მოვლენას უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა. ჩვენ უნდა ვთქვათ, ჩვენ ნაციონალისტები ვართ და ჩვენი ნაციონალიზმი არის განათლებული ნაციონალიზმი“.

თამარ ჩხეიძე: როდესაც დისიდენტური მოძრაობის პერიოდი იყო, ჩვენ ყოველთვის გვქონდა კავშირები მეტ-ნაკლებად დასავლეთის წარმომადგენლებთან, პრესასთან და ვცდილობდით, რომ მათ სწორი ინფორმაციები ჰქონოდათ...

ჩვენი მიზანია ეროვნული ნორმებისა და ინტერესების აღი-

არება და რეგულირება ზოგადი, კარგად გააზრებული ნორმებით, რასაც ვერავინ ვერ გვისაყვედურებს, შენიშნავს ნოდარ ნათაძე. 1989 წლის 7 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში კი, მაგალითად, ანალიზის ავტორი წერს, რომ დემონსტრაციის ქართველ ლიდერებს შორის სოხუმში დაპირისპირება გასაპროტესტებელ საკითხზე შეუთანხმებლობამ გამოიწვია. კერძოდ, „რადიკალური“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ მთელი ყურადღება საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მოთხოვნაზე გადატანილიყო,“ რაციონალურად“ მოაზროვნე რუსთაველის საზოგადოებისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პოზიციით კი, კონცენტრირება აფხაზეთის საკითხზე უნდა მომხდარიყო. ანალიზის თანახმად, ზომიერ პოლიტიკურ ძალად წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე, თამარ ჩხეიძე, კითხვაზე, გრძნობდნენ თუ არა 1989 წლის აპრილის მოვლენებში დასავლეთის თვალს პოლიტიკური ლიდერები, გვპასუხობს:

„რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ვგრძნობდით, რა თქმა უნდა, როგორ არა. 9 აპრილი ეს უკვე სხვა პერიოდი, ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ. მანამდეც, „პერესტროიკამდეც“, როდესაც დისიდენტური მოძრაობის პერიოდი იყო, ჩვენ ყოველთვის გვქონდა კავშირები მეტ-ნაკლებად დასავლეთის წარმომადგენლებთან, პრესასთან და ვცდილობდით, რომ მათ სწორი ინფორმაციები ჰქონოდათ. მით უმეტეს, კომუნისტურ პერიოდში ეს ძალიან აქტიური იყო, იმიტომ რომ ოფიციალური წყაროებიდან ვერ მიიღებდნენ ამ ინფორმაციებს და ყოველთვის გვქონდა მათთან გაცვლა-გამოცვლა და გარკვეული შეხვედრები“.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ამსახველი საარქივო მასალები ნაწილია ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო ფონდებში საქართველოს შესახებ არსებული იმ დოკუმენტებისა, რომელიც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ მოიპოვა.

წყარო: <http://www.radiotavisupleba.ge/content/sheer-tebuli-shtatebis-saarkivo-pondebi-tskhra-aprilze/27662050.html>

რა სურს სურველთაში?

ქაჯარავა ცნობილი ტელესახეა, ლიბერასტებისგან ელტონ ჯონის დაცინვისთვის ერთხელ უკვე შეჩვენებული, ამ დაცინვის ფაქტს ქაჯარავა ძალიან ნანობს, რადგან ამან დაუნგრაი მას ბრწყინვალე კარიერა...

ელისო კილაძე და ქაჯარავა მალევე ნაეკიდნენ ერთმანეთს, „საიდანლაც“ გამოგზავნილი ფული ვერ გაიყვას. მერე კილაძემ სხვა ანტისაოკუპაციო ჯიხური გახსნა ზედსახელად „რუსეთი ოკუპანტია“ იგივე „თითა ყურძენია“ და თავის გაზეთში ქაჯარავას სალანძღავ წერილში „დაუნამოკა“ „შე სხვისი იდეების ქურდო.“ ქაჯარავა და კილაძე ვერ უარყოფენ რომ ისინი ჩვეულებრივი სატელევიზიო პროექტები არიან...



გვართმევენო!!! ბერულავამ თავის ფბ. გვერდზე დაწერა რომ; - საკუთარ სიცოცხლეს უდიდესი საფრთხე რომ შეუქმენით და ხაშურის ტყეში რუსული საღებავით მონიშნენი აღმოვაჩინეთ, საღებავი ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი... ნარმოგიდგენია? შესასხურებელი საღებავი 1 წუთში შრება და დაუშვით რომ რუსებს „ემალის კრასკა“ მოეტანათ ვედროთი და მიმდებარე ბუჩქები ცოცხით შეეღებოთ, ღია მიწოდროში ეს „ემალის კრასკა“ კი ნახევარ საათში გაშრებოდა...

„გმირი“ ატოციდან ახორციელებს პირდაპირ ტრანსლაციას. ქაჯარავასთან გმირობაზე საუბრობს, ვიღაც წვერებიანი შნირი. გმირი და გმირიო. ოღონდ ასე პირდაპირ კი არა, ჩვენ ვართ გმირები და ძმ-პარამ-პამ-პა. არა დიდი ბოდმიით, აი არქიფო რომ ასწავლიდა სესილიას...

„ვია უბედურო საქართველო, საით მიექანები?“ ეხლა კი იმაზე თუ რა მოხდა ხურვალეთში: ყოვე-



ლი სცენარი „დიდი ინფლექტუალის“ მიერ წინასწარ ინერგა და მზადდება. ვინ ვის უნდა დაურეკოს და ვინ ლაივები მონღოლებით როგორ უნდა გაავრცელოს. ამიტომაც ჩვენ რომ „ვერაფერს ვერ ვხვდებით“; მე რომ გამოვაქვეყნე სტატია „ოკუპაციამდე დაწყებული...“ ანტისაოკუპაციო მოძრაობა, ეს მხილება გვარამიას ფსევდო მოძრაობას განაიარაღებდა და რეიტინგს დაუგდებდა...


ნიკა გვარამიას ჰგონია რომ ის თავისი ჯადოსნური ტელევიზიით „ქმნის რეალობას.“ ანუ რასაც ის გააშუქებს, მხოლოდ ის შემოყავს რეალურ სამყაროში, თვითონ აძლევს არსებობის ლეგიტიმაციას...

ახლა იმაზე, თუ როგორ ქმნიან ეს „გენიოსები“ „რეალობას“ და „საზოგადოებრივ აზრს“, ანუ როგორ შეიძლება თეთრი შავად წარმოაჩინო და დამარცხება გამარჯვებად? ხურვალეთთან, რუსებმა კოშკის აგება რომ დაიწყეს, ქაჯარავები ცოტა დაიბნენ, მყუდროება დაერღვა...

რა სურს სურმაღმერთს?



თვითონ წლების განმავლობაში პატიმრობა, არაერთხელ დაჭრა და დევნა(უშიშროებამ ბავშვობის მეგობრებიც კი ჩამომამოშორა, როგორც მერაბის და ზვიადის თავის დროზე იზოლაციაში აქცევდნენ და თავისუფლებაზე ყოფნისასაც არავის აკარებდნენ). სისხლი მაქვს ამ ბრძოლაში ჩანთხეული, ცხოვრება შევნიღვ და გვარამიებს და ვილაყ სირებს ვერ მივცემ იმის უფლებას, ეს მოძრაობა ქვეყნის საზიანოდ და მათთვის სა-



სოფ. მერეთის(გორი) საოკუპაციო ზოლთან: ლეილა ცომაია, თამარ ლომთაძე, 2018 წ. 29 დეკემბერი.

სურველი პროვოკაციებისთვის გამოიყენოს. როგორც ქოცებს ხელისუფლებაში მოსასვლელად სწყუროდათ სისხლი და 8 თვის ბარბარე რაფალიანცი მსხვერპლად შესწირეს სატანას, ზუსტად ისე სწყურია სისხლი გვარამიას. ამით ხომ ადამიანური არაფერი ცხიათ!

ონისა ბარბაქაძე

03/18/2019

გაზეთის რედაქტორისაგან: საოკუპაციო ხაზებთან სამოქალაქო აქტივისტების ხშირი (მითუმეტეს, პერმანენტული) კონტროლი მხოლოდ მისასაღებელი და მისაბაძი ფაქტია და მასში ჩართული უნდა იყვნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალებიც, რაც უფრო მეტად გაამხნევეს მიმდებარე სოფლების მოსახლეობას და მეტ შემაკავებელ ფაქტორადაც იქცევა ოკუპანტების მცოცავი ანექსისა. კრიტიკა და ცინიზმი მიუღებელია ნებისმიერი აქტივისტის მიმართ, რომელთა გუშავობა მხოლოდ აფხიზლებს საერთაშორისო დამკვირვებლებს და აიძულებს მათ საპროტესტო განცხადებების გაკეთებას სხვადასხვა ფორუმებსა და მაღალ ტრიბუნებზე, აგრეთვე, დიპლომატიურ

თლებული ა სიფხიზლის თვალსაზრისით. საჭიროა შეიკრას ეროვნულ ძალთა „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ ქმედითუარიანი ბირთვიც, რომლებიც საქმით ნარმოაჩენენ თავიანთ გულწრფელ დამოკიდებულებას საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების პერმანენტული ოკუპაციის მიმართ და მოიპოვებენ ნდობასა და დამსახურებულ ავტორიტეტს ერში. ერი კი, სწორედ, ასეთ თავდადებულ მამულიშვილთა მოლოდინშია! მხოლოდ იმისათვის, რომ არ დაგვნამონ „გრძობის პატრიოტიზმი“ და ცარიელი სიტყვების რახარუხი, დასტურად ვაქვეყნებთ ჩვენს პროტესტს მერეთის საოკუპაციო ზოლთან.

კიდევ ერთხელ ფსევდო-კადრიოტების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე დიდ საფრთხეს სახელმწიფო საქართველოსათვის!

თანამემამულენო, ალბათ უმეტესობამ ნახეთ პირდაპირი ტრანსლიაცია სახელმწიფო ტელევიზიასთან, გურამ ქართველიშვილის პოლიტიკური ჯგუფის საპროტესტო აქციისა. ამ მიტინგზე, სიტყვის თქმის უფლება, მიტინგის დასასრულს ძლივს მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა დენეზა სუმბაძემ, რომელმაც ილაპარაკა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებზე და რეალურ საფრთხეებზე მცხეთის უმწვავეს საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ებრაელები გვედავებინ; დენეზა სუმბაძე ამაოდ შეეცადა

დაკანონებისთვის, რითაც მათ არაერთხელ მიმართეს სინოდს. გურამ ფალავანდიშვილი (რომელიც თავის ვაჟივით ალექსანდრე ფალავანდიშვილთან ერთად გვევლინება მიტინგებზე) გახლდათ ზვიად გამსახურდიას უახლოესი ნათესავის - გეიდარ ფალავანდიშვილის შვილი, რომლებიც ებრძოდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას.

ქართველიშვილის პოლიტიკური გუნდი შედგება პუტინის სატელიტი - ნინო ბურჯანაძის პარტიელებისაგან (დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჯონდი ბალაურია, გიგლა ბარამიძე ...) და რა ნიშნით უნდა ვაღიაროთ ისინი საქართველოს პატრიოტებად?..

ნუთუ არანაირ გულსხმაში არ უნდა გავდებთ ის, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორია?! ან, იქნებ, ეს გეორგიევსკის ბავთები და მათი ვიზიტები მოსკოვში ქართველთაძულე ვლადიმერ ხომერტიკიანთან შეხვედრებს მათ ქართულ სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმზე?!



მოსკოვი:ლორთქიფანიძე,კუკავა,ბლადაძე,ვლ.ხომერტიკიან

მაგრამ ვიპოვით ძალას აღდგომისა...

ფხიზლად, ჭეშმარიტო ეროვნულებო! ჩვენი დედა-სამშობლო საქართველოსთვის, ყველაზე დიდ მტერსა და საფრთხეს წარმოადგენდა და წარმოადგენს, მხოლოდ, იმპერიალისტური, ოკუპანტი რუსეთი!

სამშობლოს პატრიოტმა, ცხადია უნდა გააპროტესტოს უცხო ქვეყნებიდან მიგრანტების შემოდინება და წინ უნდა აღუდგეს ჩვენი ქვეყნის საზიანო ყოველგვარ ფორსირებულ პროცესებს; აღმასფთვებელი ის არის, რომ ქართველიშვილი და დასი მისი, „უცხოელებში“ რუსებს არ გულისხმობენ, რომლებიც, საუკუნეების განმავლობაში გვეყრიან საკუთარი მიწა-წყლიდან. ივანე ნიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, გაცხოველდა რუსი ბიზნესმენებისა და ეთნოსის ჩამოსვლა საქართველოში, რომლებიც, უცხოელებზე მეტი რაოდენობით შემოედინებოდნენ თბილისში და ბათუმში, ყიდულობენ ცენტრალურ უბნებში ბინებს, მიწებს, სანარმოებს და ა.შ. მოკლედ, 90-იან წლებიდან, ვიდრე 2013 წლამდე, საქართველოდან გახიზნული რუსები, უკვე აქტიურად ბრუნდებიან და ეთნიურადაც იპყ-



რობენ სახელმწიფო საქართველოს. ხოლო, ქართველიშვილებს სულაც არ ადარდებთ, არც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია (რაც არასდროს გაუპროტესტებია მათ ჯგუფს) და არც რუსების შემოდინების, ასევე საგანგაში პროცესი.

ამ ინტერვიუში, ქართველიშვილს, ივანიშვილის „რუსი-ოლიგარქად“ მოხსენიებაც კი აღიზიანებს; მისი მწუხარე მზერა და მახვილი მიმართულია მხოლოდ ევროპა-დასავლეთისკენ. ამგვარი „პატრიოტული“ შირმით კი, ამ რუსეთში პოლიტიკურმა ძალებმა, უკვე შეძლეს გულუბრყვილო მასების აყოლიება.

მოუწოდებთ ჭეშმარიტ ეროვნულ-პატრიოტებს მეტი სიფხიზლისაკენ! მითუმეტეს, როცა უახლოეს წარსულში, ჩვენი მიმდობლობით, ლამის ეროვნულ გმირებად შევრაცხეთ ჭანტურია, წერეთელი, ბათიაშვილი, ნათაძე, შორჟოლიანი... აღარ მიაპყრით სმენა ზვიადის ლაღადისს, რომ არ მისულიყავით შეიარაღებული ოპოზიციის მიტინგებზე. მაინც მიდიოდით და ხდებოდა თქვენი დეზორიენტირება და გაბრუნება დეზინფორმაციებით...

ლეილა ცომაია



მიტინგის ორგანიზატორების ყურადღება მიეპყრო უმნიშვნელოვანესი, სერიოზული საფრთხის მიმართ. უფრო მეტიც, მიტინგის ქრონომეტრაჟის შემდგომი ჩვენებიდან, სუმბაძის ეს გამოსვლა, ჩანაცვლებული იყო ალ.ფალავანდიშვილის აბდაუბდა რეპორტაჟით, რომელმაც გადაფარა ქლბატონი დენეზას ხმა (ესეც კვბ-ჩნიკური ტექნიკური მანიპულაცია არასასურველი მომიტინგის გასაწეიტრალებლად). სუმბაძემ, თავის გამოსვლაში ანტიეროვნულ პოზიციებში და საქართველოს მტრობაში ამხილა ქართველიშვილის მარჯვენა ხელი ლევან ჩაჩუა, რომელიც გახლავთ ბეჯითი მოსწავლე ცნობილი სამღვდლო დასის მამა მიხეილ ქვლივიძის, მამა დავით ისაკაძის და სხვ. რომლებიც ამბიონებიდან ქადაგებენ, რომ არცერთი მეფე საქართველოსა არ იყო ქართველი და არც ქართველი წმინდანები ჰყოლია საქართველოს.

ზემოსხენებული მღვდლები გამოირჩევიან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიძულვილითაც, რითაც იკვებება ლევან ჩაჩუა და იგიც, მისი მოძღვრების შთავონებით, ყველგან იგივეს აცხადებს, რომ ქართველებს არ გვყავს წმინდანები და არც ქართველი მეფეები. ამგვარი აზრების გავრცელებითა და შთავონებით, ეს დაჯგუფება იღვწის ქართველ ერს ჩამოუყალიბონ არასრულფასოვნების კომპლექსი, რაც რუსული ნარატივია. მნიშვნელოვანია, რომ ლევან ჩაჩუას ხსენებულმა მოძღვრებმა, თავიანთი ეკლესიებიდან განდევნეს კანონიკური ქართული მრავალხმიანი გალობა და ბიზანტიური ერთხმიანი გალობენ. ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი, ჯონდი ბალაურია... იყვნენ მათი აქტივისტები, რომლებიც ხელმონერებს აგროვებდნენ მრევლში, ყველა ეკლესიებში ქართული მრავალხმიანი გალობის აკრძალვისა და ბიზანტიური ერთხმიანის

ლიტერატურული ბიბლიო

ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე



ზვიად გამსახურდია

ვაქვეყნებთ კონსტანტინე უმცროსის მიერ აღმოჩენილ ზვიად გამსახურდიას ორ უცნობ ლექსს „მარგალიტი“ და „შემოდგომის ვარდები“. ლექსები დაწერილია ვერლიბრის სტილში, რომელიც კონსტანტინემ საკუთარი ფეისბუქის სტატუსად დადო 2014 წელს.

მარგალიტი

მომადღე მე პატიოსანი შენი მარგალიტნი და დამიმარხენ საფასეთა შინა შენთა და მერმე უკუმოგცენ იგინი დღესა მას დიდსა. (ეპიტაფია)

შენ ბედისწერის შუქმთოვ მანიაკს მოსხლეტილო მარგალიტო, თითქოს შემთხვევით დაცემულ ჩემს წყვილიადით მოცულ ბილიკზე, შენ წყარო უკვდავებისა მწირ უდაბნოში ამოხეთქე ანაზღეულად; ხანმოკლე იყო შენი ჩქეფა, ვით საბრალო მოკვდავთა ყავლი ამ უხანო წუთისოფელში! შენ - ვარსკვლავთა ხომლის ნათებავ, ასპიროზის გარემომცველო, ორიონის მხურვალეზა წამოგეძალა, შთანთქა შენი წყალჯავარობა ანთრაკის გუმბათს რომ მოიცავდა, ხშირ სხივოსან გაცისკროვნებად და უხილავგყო უსამანო და უფიქრო მარადისობის დავსილ წიაღში! მარადიული ცეცხლის ბუნჯგალი ვით დაგშრიტა მიწიერი გესლის მდინარემ? ანგელოსთ ხელით ნამზადი ნექტარი ვით წაგბილწა წუთისოფლის მზარეულის უცებმა ხელმა; ან ვით ამშვენებ შენ - სხივთა მთოვი, შუმი მარგალიტი ხილვად უშვერ თაღლით ქვათა დუხჭირ სალაროს?

შემოდგომის ვარდები

რა მშვენიერი, რა წარმტაცნი იყვნენ ვარდები! ციური ცვარნი მარგალიტებრ დაპკურებოდნენ მათ სათუთ ფურცლებს - შენი ღანვისფერი ო, რა იდუმალ ჩურჩულებდნენ ადრეული სთველის ფოთლები, რარიგ ხიბლავდნენ მოქანცულ მზერას შემოდგომის სავსე ფერები! რა მშვენიერნი რა წარმტაცნი იყვნენ ვარდები. დასძინებოდა ალერსიან ბაღს გადაღლილი მზით მოოქროვილს... და სათითაოდ ჰკოცნიდა ვარდებს დილის ნიავი - ეს ფრთამსუბუქი მოციქული განახლებისა.... თრთოდნენ ვარდები როგორც სული შენი სიახლით, თრთოდნენ ვარდები როგორც შენი თეთრი ხელები და ტალავერიც... და მენამული და ოქროვან-ლიბრი ფოთლები ვაზის ლერწმების დახლართული არაბესკები იქ ირეოდნენ სპილენძის და ლალის ფერები, იქ შენს ღიმილად ციმციმებდა ცვარის სიმრავლე ბროლის მტევნებზე შემოდგომის ჩამქრქალი თვალთ. რა მშვენიერნი, რა წარმტაცნი იყვნენ ვარდები ცათ ალანძულ ალვის ხეთა ფორეჯვერცხლი ამქრქალუბდა შორეულ ცის ფერს და იქ ღრუბლების სანმისები გაპენტილიყვნენ კავკასის მთათა იაგუნდის იალმაგებზე, რა ახლოს იყო ის შორეთი დაქანცულ სულთან, რა ახლოს იყავ და რა შორს იყავ ვით ოცნების მწარე ზღაპარი, სულის სიცივეს შენ ვერ ათბობდი ვით ვერ ათბობდა იმ სევდიან ბაღს შემოდგომის ჩამქრქალი თვალი.... რა მშვენიერნი, რა წარმტაცნი იყვნენ ვარდები.

ადღვამა

საფლავი თორმეტი ადლი, სუღარა - თავთან კრული, გწყალობდეთ ადღგომის მაღლი, ანგელოსი მხიარული! "თქვენ რომ მეუფე დაფლეთ, ალსდგა, აქ არ განისვენებს, დღეიდან ბნელს ნათელი დაფლეთ, განჰკურნავს ცოდვილთა სენებს." უფალი ჯოჯოხეთს შთახდა, იხსნა სულნი მართალთა, ანგელოსნი დარჩნენ სახტად ცა დასთმეს ფერგამკრთალთა, და გარდამოხდნენ ქვეყნად რათა შეეგებონ მწეს, ადამს, მეუფის სეხნას, სასუფეველის მზეს.

რა შვებაა, რა ზარია, ალსდგა ღმერთი სულმნათი, დედამინა ტაძარია, ზეცა - მისი გუმბათი. რა ზამთარი იდგა ქვეყნად, ან რა სიმწრის გოდება, აქ კი ზეცა გარდაგვეხსნა, ედემი გველოდება. ზეიმით და ზარით მოდის წელიწადი წლეული, აღარ გვმართებს გლოვა ლოდის, წარწყმდა გველი წყეული. შვება სუფევს კიდით კიდე, ქვესკნელით ცის თაღამდი, მზემ დახია ბნელის რიდე, ისმის ლოცვა-ლაღადი. რა შვებაა, რა ზარია ალსდგა ღმერთი სულმნათი დედამინა ტაძარია ზეცა მისი გუმბათი. ჩონჩხი რომ გზარავდათ ყველას, და ცელი გაბასრული, დაემხო, განქარდა წყევა, ვარსკვლავეთს აღზევდა სული. ოსანა ისმის დასთა დიადობს სხივთა ფენა, მას ქერუბიმთა დასტა შეეგებება ზენა. დასცა ქაოსი მძვინვარე, დახსნა სიკვდილის მხარე, ალსდგა სიკვდილში მღვიძარე, ცის შეუმუსვრელი სახე. სად ჯვარი მისი გებულა, ალყავებულა სხვა ხე, ედემად დავანებულა ანგელოსთ მენახე! დაივიწყეს აჩრდილთ მოთქმა და სიკვდილის ჭალაკი, განახლებულ კაცთა მოდგმას ერგო საღვთო ქალაქი. ვის წყალობა ზეცით თან სდევს მსხვერპლის არდარიდებით, ის ადღგომის შარავანდედს შემოსავს დიდებით! რა შვებაა, რა ზარია ალსდგა ღმერთი სულმნათი, დედამინა ტაძარია, ზეცა - მისი გუმბათი.

(კრებულიდან „კოსმიური წირვა“)

ქართული ჯარისკაცი კიევთან

(ზურაბ ფალავანდიშვილის ხსოვნას)

ქართლის დევგმირი გოდლადა იდექ კიევის კართან, სატანის ლახვარს შეაგებე მკერდი დევური. ციდან ღვარცოფი ინთხეოდა, წუნწუნის, ლავის, მაგრამ ვინ ნახა დადუმება მედგარი მკლავის! დნეპრი ინვოდა. პროჟექტორი ღამის მთევარი ზეცის იარებს აშიშვლებდა. გუგუნი ზართა ეჯიბრებოდა კანონადის გრიალს განგამით, ქართლის დევგმირი გოდლადა იდექ კიევის კართან. მინის რყევაში, მინის დგანდგარში გურამიშვილის გამხნევებდა დიადი ლანდი; ამადაც ნახდა მუხთალი მტრის ყოველი ფანდი. დღეს შენს საფლავზე ზუბოვკიდან მოაქვთ ყვავილნი, გესალმებიან უკრაინის სავსე თაველნი.

ლიტერატურული ბმედი

პროზა



ნორა სიხარულიძე

მელოდიას მელოდია ენაცვლება, ტირილს - ქორნილი მოჰყვია. საწყალოზღად ნრიპინებს კლარნეტს...
- არ მითხრო, რას ნიშნავს 'ჭალიკონი'? არ იცის. შეკითხვის შერცხვა...

ძია, ოჩოპინსკი და მარყოზა

თვლით ზომავს. რას ნიშნავს 'ჭალიკონი'? არ იცის. შეკითხვის შერცხვა. ირგვლივ ციტრუსების ტერასები; ორივე მხარეს. მათ შორის ვინრო შარა - სოფლის გზა. ყველგან მწვანე ფერი...
- არ ვამო თუ კაცი ხარ. თხის ცურცილა. ბაბუა გაუხსნო, უკვე სახლის ბილიკს მიუყვება...

ჩამოჯდა მზე. სიჩუმე უცნაური, მხოლოდ წყლის სუნთქვა, ხმაურიანი, ბობოქარი; სუნთქვა განუზომელ დადრეკილი, ყოველის ნამძლეკავი. ჩანჩქერი - სიამაყე მერაბის. ნამომუხმულა. მზე პირს იბანს! - იტყოდა ბაბუა...
- კიდევ არ გენია მუზა? კარგ ხასიათზეა, სტუმრის გულუბრყვილობა ამხიარულია...

ღია სული ჩემი და უძლველია გენი ქართველი. მოვიფიქრე, მერაბო!
ბინდი ჩამოწვია, ცას ვერცხლისფერი გადაეკრა. დღე ისე მიილია ჩანჩქერის დამყრობლებმა ვერც კი შეამჩნიეს...
- არჩილ, არ ჩამომრე, თორემ ღამეს მუხაზე გაატარებ...

ზვიად ბაქსაძის რძის იუბილე იპი დედას და პლესრს სურვილს საქართველოს!

„ზევს გვეცივები, აგელაი, ზევს და მამაჩემის ტკივილებს“ - ამას წერდა ნაკურთხკალიმის დიდოსტატი თავის ყრმას, რომელმაც სულის უკანასკნელ ამოთქმამდე ღირსეულად ატარა არა მარტო მამის ტკივილები, არამედ სამშობლოს იარები, მის გულზედ დასერილი...
იგი დღეს 80 წლისაა!
დიახ, რვა ათეული წლის და თუ ჩვენს მამულს სიკვდილი არ უწერია, მისი სახელიც უკვდავი იქნება!
დაბადებულთან დევნილი ამ ქვეყნიდან გარდასულიც იდევნება დღესამომდის...
მუხთალი ბედისწერა...
მაგრამ მას ხომ ქუდბედიც თან დაჰყვა?!
„ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და ანი, დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა შეძლო, გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი.“ - წერს დიდებული მშობელი თავის პირმშოს და მანაც იცხოვრა, იღვანა, იბრძოლა და აღესრულა სვედამწვარი

სამშობლოსათვის!
იგი ხომ შემოქმედია ჩვენი იმ ხანმოკლე თავისუფლებისათვის ბრძოლის გმირული ეპოპისა?!
იგი გმირული ნარსულიდან გარდმოსული, უხი-აგო ანმყოფი დევნილი, გაცისკროვნებულ მომავალში დამხვედრი თანამდევნი სულია სრულიად საქართველოს!
ერთია, მე და ჩვენს თაობას უფალმა გვარგუნა ის ბედნიერება, რომ გაგვხადა ღირსი ზვიადისა და მისი სულიერი ძმის მერაბის ხილვისა!
მაგრამ ეს რა დაგვემართა?!
რით გადავუხადეთ ამბავი?!
ვერ ვიგუთ, ვერ შევიფერეთ, ვერ დავიციავთ და ისინი მაინც ღიმილმჩენნი აღესრულნენ!
მისხალისოდენა საყვედურიც კი არ დასცდენიათ!
ახავაი, რომ ჩვენში არ დაბადებულა მეორე იოთამ ზედგენიცი, იმ გასროლილი ტყვიისათვის შუბლიმშვერი...!

ჩემს მოკრძალებულ მოსაგონარს განვაგრძობ მის შესახებ ღირსეული ადამიანების მიერ თქმულთ!
უპირველესად კი ბოროტის გზაზე დაცემული მისი სულიერი ძმის ალალის სტრიქონებით:
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
საღვთო სინედლის გულში აღმზვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმიდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებულები,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიქსავით დაბრუნებულები.
....
და წინაპართა ტანჯვით ვნებულმა ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
როს განაახლე მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე



აზბიობი

შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ სახელი ავგიორგი, მიუხედავად რაც ვიცით რომ ვსაუბრობთ ქართველ მეფეზე, ქართველი მეფის ზედმეტსახელი კი უარყოფით კონტექსტში იშვიათია და ეს არ არის საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი, მაგრამ არსებობდა ასეთი მეფე. მართალია მან მხოლოდ 2 წელი იმეფა, მაგრამ თავისი მოღვაწეობით უარყოფითი გავლენა იქონია XVI საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. დღევანდელ ჩვენს წერილში ვისაუბრებთ კახეთის მეფე ავგიორგის შესახებ. საინტერესოა რა გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველი მეფე ამ სახელით შევიდა ისტორიაში.
XV საუკუნე საკმაოდ მძიმე საქართველოსათვის, ესაა პერიოდი როდესაც სამეფო-სამთავროებმა დაიშალა ქვეყანა. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე აღმონჩა გიორგი VIII (1446-1466), ჯერ იყო და იმერეთის მმართველმა საკუთარმა ბიძაშვილმა ბაგრატმა დაამარცხა 1463 წელს ჩინორთან გამართულ ბრძოლაში, ხოლო შემდეგ 1465 წელს ფარავნის ტბასთან დაპირისპირებისას ის დამარცხდა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელთან, გიორგი იძულებული გახდა კახეთში გამაგრებულიყო. რითაც ეს რეგიონი ერთიან საქართველოს გამოეყო და იქ დამოუკიდებელი სამეფო ჩამოყალიბდა, სადაც ათი წლის განმავლობაში მეფობდა, კახეთის მეფეთა ნუმერაციით, გიორგი I-ის სახელით.
გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტს იკავებს მისი შვილი ალექსანდრე I (1476-1511), ის საკმაოდ წინდახედული მმართველი იყო და ცდილობდა მშვიდობიანი პოლიტიკა გაეტარებინა; იქნებოდა ეს დათმობა თუ ხარკის გადახდა, ის ყველაფერს აკეთებდა რომ დაეზღოპოპლაციის გზით მოეგვარებინა პრობლემები, რათა თავიდან აეცილებინა საომარი დაპირისპირებები. ეს საკმაოდ ძნელი იყო, თუ წარმოვიდგინებთ როგორ რთულ გარემოში მოუწია მას მმართველობა, ერთი მხრივ არსებობდა მეზობელი ქართლი, მეორე მხრივ ურთიერთობა უნდა მოეგვარებინა სეფიანთა ირანთან, ასევე უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა აყ-ყოიუნლუს (თურქთატიანი) თურქმანთა სახელმწიფო და მისი გამგებელი უზუნ-პასანი. ალექსანდრე ამგვარ მშვიდობიან პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. კახეთის თავადთა გარკვეული

ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრეს შვილი გიორგი, ეს უკანასკნელი გამუდმებით მოითხოვდა რომ კახეთს დაეწყო საომარი მოქმედებები მეზობელი ქართლის წინააღმდეგ. გიორგის აზრს არ იზიარებდა არც მისი უმცროსი ძმა დიმიტრი. საგვარაუდოდ გიორგი შიშობდა კიდევ, რომ მამას შესაძლოა სურდა ტახტზე აეყვანა არა ის, არამედ მისი ძმა, ამ ყველაფერმა კი ბოროტად განაწყო გიორგი მშობლისა და ძმისადმი. კახეთის მეფესა და მის უფროს შვილს შორის უთანხმოება შიდა დაპირისპირებაში გადაიზარდა, გიორგიმ კი მანამდე გაუგონარი რამ ჩაიდინა, 1511 წელს მოკლა საკუთარი მამა ალექსანდრე I, ხოლო ძმას დიმიტრის თავლები დასთხარა და ცოლ-შვილით კახეთიდან გააძევა. ბრმას არ შეეძლო სამეფო ტახტის სამართლებრივად დაკავება, ძმის ასე დასჯით კი გიორგიმ ეს „პრობლემატიკა მოავარა“, თავად გახდა კახეთის მეფე ნუმერაციით გიორგი II, მაგრამ ისტორიას შემორჩა როგორც ავგიორგი.
ამ გაუგონარი ქმედებების შემდეგ მას ხელ-ფეხი უკვე გახსნილი ჰქონდა და თავისუფლად შეეძლო ემოქმედა ქართლის წინააღმდეგ, ის სისტემატურად აწყობდა ლაშქრობას ქართლში და ხშირად არბევდა მას. რა ვითარებაა ამ დროს ქართლში? 1479-1505 წლებში იქ მეფობს ალექსანდრე I დიდის (1412-1442) შვილიშვილი კონსტანტინე II, სწორედ მის დროს 1490 წელს ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს დაშლა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ტახტს იკავებს უფროსი ვაჟი დავით X. სწორედ ამ უკანასკნელს ებრძვის კახეთის მეფე ავგიორგი და ცდილობს ყველანაირად მის შევიწროებას. ამას ემატება ის რომ სეფიანთა ირანის შაჰ ისმაილს თვლი ქართლზე უჭირავს, რის გამოც ქართლის მეფე იძულებულია მას ხარკი უხადოს. სამწუხაროდ არც ქართლის სამეფოში არსებობდა ერთიანობა, კახეთთან გართულბული მდგომარეობით ისარგებლა დავითის უმცროსმა ძმამ ბაგრატმა. 1512 წელს მან მოითხოვა საუფლისწულოდ მიეცათ მუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობები, საპირწონედ კი პირობას დებდა რომ აღკვეთავდა კახეთის მეფის თარეშს და დაამარცხებდა მას. შექმნილი პოლიტიკური ვითარებებიდან გამომდინარე ქართლის მეფე დავითი ამას დათანხმდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა მუხრან-ბატონთა სადროშო საგვარეულოს და სწორედ აქედან იწყება ბაგრატიონთა

სამუხრანბატონო შტოს არსებობა. ბაგრატმა ქსნის ციხე ააგო, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ როგორც მტვრის ციხეს, საკმაოდ კარგი ადგილმდებარეობა ციხის უპირატესობას განაპირობებდა, ის იქ გამაგრდა და ელოდებოდა შესაფერის მომენტს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ავგიორგის ქართლში ლაშქრობის ერთ საინტერესო ისტორიას გადმოგვცემს: ქართლში მორიგი შემოსევის დროს, კახეთის მეფემ ალყა შემოარტყა იმ ციხეს, რომელშიც ბაგრატ მუხრანბატონი იმყოფებოდა. ციხის აღება არც ისე მარტივი აღმოჩნდა, ავგიორგის სურდა ციხეში მყოფი დაემცირებინა ამიტომ, მათ ღვინო გაუგზავნა: ბაგრატმა კი შეუთვალა მეფის ძე ხარ დიდი ხანია არ დაგიღვივია და გასინჯეო. მაგრამ არც ბაგრატის პასუხმა დააკმაყოფილა და კახეთის მეფეს ცოცხალი ორთავი გამოუგზავნა, დიდი ხანია ქსანზე დგახარ და ახლათ არც მიგიერთევიო. ავგიორგიმ ჩათვალა რომ ციხეში მყოფთ მდინარეზე გასასვლელი ჰქონდათ და ეს ამდენი ხნის ალყა მხოლოდ დროის დაკარგვა იყო. ამის გამო მიიღო გადაწყვეტილება ალყა მოეხსნა და თავის სამეფოში დაბრუნებულიყო.
თუმცა კახეთის მეფის ამბიციები ამით არ ამოწურულა, ის კვლავ განაგრძობდა ქართლზე თავდასხმას. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს 1513 წელს მამინ როდესაც ავგიორგი ჯარის ძირითად ნაწილს ჩამორჩა და ნადირობით ერთობოდა, ბაგრატ მუხრან-ბატონმა ახლანდელი მცხეთის რაიონში, ძალისის ხეობაში მოახერხა მისი შეპყრობა. როგორც ახალი ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს კახეთის მეფე ციხეში მოკლეს: „შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთვეს ავგიორგი და მოკვდა“. კახეთის მეფის ჩამოშორების შემდეგ ქართლის მეფე დავით X შეტევას გავაძევა და მოახერხა კახეთის შემოერთება, ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანდა. ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო იმ პერიოდისათვის. მაგრამ ყველაფერი ამით არ მორჩენილა, ავგიორგის დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე 7 წლის ლევანი, დავითმა კარგად იცოდა, რომ კახელი თავადები მას აუცილებლად გამოიყენებდნენ მის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ სცადა ლევანის შეპყრობა, ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ქართლის მეფის ძმა ბაგრატ მუხრანბატონი, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, რადგან კახეთის თავა-

დებმა გარსევან ჩოლოყაშვილის მეთაურობით ტახტის მემკვიდრე საიმედოდ გადამაღეს. მართალია ბაგრატი ეწვია გარსევანს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცბიერებით აჯობა ქართლის მეფის ძმას, მან დაიფიცა რომ არავის მალავდა და ყველა ვინც მასთან ცხოვრობდა ახლა სწორედ იქ იმყოფებოდა, საქმე ის იყო რომ თავად ავგიორგის ვაჟი ლევანიც მათ შორის იყო, უბრალოდ კახეთის თავადმა ის მწდის ანუ ღვინის დამსხმელის სამოსში გამოანწყო და ის იქვე ტრიალებდა სტუმართა შორის და ემსახურებოდა მათ, ამას კი რა თქმა უნდა ვერც კი წარმოიდგენდა ბაგრატი. გარსევანი შემდეგ ახალგაზრდა ლევანს თიანეთში ოჩანის ციხეში მალავდა.
მართალია მოკლე დროით, მაგრამ 1518 წლამდე ეს ორი ქართული სამეფო გაერთიანებული იყო. სეფიანთა ირანის გააქტიურებამ აიძულა დავითი მასთან მოლაპარაკებები დაეწყო, ამ ყველაფრით ისარგებლეს კახეთის თავადებმა და იქ ლევანი გაამეფეს (1518/20-1574), დავითმა სცადა კახეთის შემოერთება, მაგრამ ახლა უკვე ოსმალების გააქტიურებამ აიძულა დროებით გადაედო ეს საკითხი. საბოლოოდ კი მალაროსკართან გამართულ ბრძოლაში ქართლის მეფე დამარცხდა კახეთებთან, დავით X იძულებული გახდა ხელი აეღო თავის განზრახვაზე. ამრიგად აღმოსავლეთ საქართველო ისევ დაყოფილი აღმოჩნდა. საგარეო და საშინაო ფაქტორებმა, ურთიერთმტრობამ ხელი შეუშალა ქართლ-კახეთის ერთიანობის არსებობას.
ამ მოკლე წერილში ჩვენ დავინახეთ როგორი რთული პოლიტიკური ვითარება იყო XVI საუკუნის პირველ ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, ეს ყოველივე კი ცალსახად აისახებოდა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და აფერხებდა სამეფოების განვითარებას. ამ ფონზე გავეცანით კახეთის მეფის გიორგი II-ის მოღვაწეობას, რომელმაც გაუგონარი სისასტიკის შემდეგ სცადა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება და გავრცელება, მაგრამ ეს მისთვის ცუდად დამთავრდა. საქართველოს ისტორიას კი შემორჩა როგორც ავგიორგი.
თსუ სტუდენტები:
ალექსანდრა მაჭავარიანი
ვიტალი მაჭავარიანი
(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ)

ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე

აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
ახალ ხარისხზე ასნიე ერი.

გადაიჭრები გზებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეადმართულო ჩვენს ეპოქაში,
მიქელანჯელოს კუმტ დავითივით.

აი, ასეთები იყვნენ ჩვენი რაინდები, საქართველოს სარანგები ზვიადი და მერაბი. იგივე რჩეულია რჩეულთა შორის და იგივე ოთხმოცი წლის ხდება საქართველოს თავისუფლების დღეს!

კაცობრიობის ისტორიაში ხშირად ხდება ასეთი რამ: ქვეყნის მმართველი თუ ერის ლიდერი გარკვეულ წილად იმგვანებს თავის თანადროულ საზოგადოებას, ამის ნათელი დასტურია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის წლები. მაშინ ჩვენ ერთურთი ისე გვიყვარდა, როგორც ქრისტესმეორე ძმებს - ზვიადსა და მერაბს ერთმანეთი.

მაშინ ჩვენ სამშობლოც ისე გვიყვარდა როგორც ჩვენი მამულის სარანგებს - სიცოცხლეზე და თავალისჩინზე მეტად.

ამის ნათელი დასტურია 1990 წლის 28 ოქტომბრის ერთსულოვნება და შემართება, 1991 წლის 31 მარტი, 1991 წლის 9 აპრილი, 1991 წლის 26 მაისი... ზვიადის „დანაშაული“ ის იყო რომ მან კალენდრიდან წარგვტაცა 31 მარტი, მისი დაბადების დღე, როდესაც ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავისუფლებას მისცა დასტური. უგვანონი ამ დღის გამოც, ზვიად გამსახურდიას კორტინდენენ...

მაგრამ გავიხსენოთ მაშინ რა ვითარება იყო. დრო არ ითმენდა, უნდა მოგვესწრო თავისუფლების ბალავრის ჩადება. და იმ კვირაში საქართველოს სტუმრობდა ამერიკის ადრინდელი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, მას უნდა ენახა საქართველოს მოსახლეობის დაუოკებელი ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. ზვიადს უნდა მოესწრო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მისი სურვილი იყო ეს მომხდარიყო სამშობლო თავისუფლებას ზვარაკად შენიღულ 9 აპრილის გმირების უკვდავსაყოფად.

იხილა რა მისმა უდიდებოლესობამ რიჩარდ ნიქსონმა იმ ორი კვირის მოვლენები, მან თქვა: „მე ზვიად გამსახურდიას ორჯერ, არა, სამჯერ შევხვდი და საკმაოდ კარგად ვიცნობ. იგი ძლიერი ლიდერია. ზოგიერთ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ ძალიან ძლიერიცაა. ამასთანავე, პრაგმატისტიცაა. ცდილობს მშვიდობიანი გზით მოაგვაროს ყველა კონფლიქტური საკითხი. მშვიდობის გზით და არა ძალისმიერ, მონახოს საერთო ენა ოპოზიციასთანაც. მე ვფიქრობ იგი ქართველ ერს გამარჯვებამდე მიიყვანს.“

რამდენადაც მასხოსვ, სწორედ ნიქსონის რჩევა და წინადადება იყო საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება, რაიც უფრო სტაბილურსა და თანმიმდევრულს გახდიდა ჩვენი სამშობლოს სვლას თავისუფლების ნარეკლიან გზაზე და საქართველოს უზენაესსა საბჭომ 1991 წლის 14 აპრილს ერთხმად აირჩია პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია. მაგრამ მან დანიშნა თავისუფალი საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც უნდა გამართულიყო სწორედ 26 მაისს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ქვეყნის რუსული უღლისაგან თავდასხნისა და ეროვნული გმირის მერაბის დაბადების დღეზე. არჩევნების შედეგები კი ყველას გვახსოვს.

გავიხსენოთ ის საერთო სახალხო შემართება, რომელიც ჩვენმა ხალხმა უჩვენა 1991 წლის აპრილის ბოლოს ჩვენს ქვეყანაზე თავსდამტყდარ მინისძვრის შედეგების რეაბილიტაციის პერიოდში!
საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული



ხელისუფლების ძალისხმევამ წარმოუდგენელ ვადებში, რამდენიმე თვეში მოასწრო მატრეიალური ზარალის 70% ლიკვიდაცია. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ კი იქ დღესამომდე კენჭიც არ აუტანიათ!

ახლა კი ყური ვუგდოთ უცხოელებს:
„მისი განსაკუთრებული მისიის შეცნობა მხოლოდ მას შესწევს, ვისაც აქვს უნარი წმიდა ჯვრის ერთ უთქმელი საიდუმლოს შეცნობისა...“ - წერდა დისიდენტური მოძრაობის ღირსეული მებაირახტე ქალბატონი ადელა ნადეინოვიჩი.
ზვიადიზმი - საქართველოს სრული უფლებების აღდგენისათვის. ქედმოუხრელი ბრძოლის მოძღვრება, მოძღვრება აგებული ოთხ დედაბოძზე: ქართველი ხალხის დაბრუნება ღმერთთან; დაბრუნება წინაპართა ტრადიციებზე; პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა;

კავკასიელ ხალხთა ძმობა, საერთო კავკასიური სახლის შექმნა კავკასიის ყველა ხალხისათვის.
აი, ის დოქტრინა, რომელიც გაუნათებს გზას მომავალ პატრიოტებს საქართველოს თავისუფლებისათვის, სრულიად კავკასიის თავისუფლებისათვის.

ღმერთი იყოს მათი შემენე! დაე, მათი ხვედრი იყოს წარმატებული და საბედნიერო, ვიდრე ჩვენია!
არა! ზვიად გამსახურდიას იდეაზე ჯვარის დასმა არ გამოუვათ! ზვიადი დაიღუპა ფიზიკურად, იდეა ზვიადისა კი იცოცხლებს!

კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი, გმირი ინგუში ხალხის შვილი, ქართველების ერთგული ძმა და მეგობარი.

„მიმანი, რომ როგორც ეროვნულ მოღვაწეს, ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. ის იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მე მასთან ხშირად მქონია კამათი, მაგრამ უდავოა, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიდი საზოგადო მოღვაწე. ხოლო როგორც პოლიტიკოსი, იგი შევარდნაძეზე ნაკლები წამდვილად არ არის, მისი პოლიტიკა გაცილებით უფრო ზნეობრივი იყო როგორც მცირე ერების, ისე ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასე ვაფასებ მე ზვიად გამსახურდიას.“

გამსახურდია ისტორიული პიროვნებაა და სამუდამოდ დარჩება ისტორიაში“. - *იური ორლოვი, ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე, აშშ „რუსსკაია მისლ“. პარიზი*

„ზვიად გამსახურდია არის ტრაგიკული პიროვნება, იგი საქართველოში მოვიდა მისი ისტორიის, ალბათ, ყველაზე ტრაგიკულ მომენტში და მოვიდა ოქროს საუკუნიდან, სადაც მას თეოლოგსა და მოაზროვნეს შესაფერისი ადგილი ეჭირა თამარ მეფის ბრწყინვალე სასახლის ფილოსოფიურ დისკუსტებზე. მაგრამ იგი დაიბადა სისხლიან XX საუკუნეში, როცა შინაგანად აფეთქებული დროთა კავშირი დაირღვა.“

ქართველი ჰამლეტი მოწოდებული იყო აღედგინა იგი, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედი დანიის პრინცისათვის.

ხალხის რჩეული, საქართველოს რჩეული მზად იყო ემსახურა მისთვის, როგორც რაინდს, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი თანამედროვე გაგებით და პოლიტიკა მას ესმოდა, როგორც დისპუტი ქუმარიტების დასადგენად. მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ პროფესიონალი ჯალათები.

მისი პრეზიდენტობის გზა ცნობილია - ეს არის გოლგოთისაკენ აღმავალი გზა!

პრეზიდენტი დისიდენტი, როგორც მას ხშირად უწოდებენ, იქცა პრეზიდენტ - მოწამედ!

საერთოდ, მასში იყო რალაც ქრისტეანი მოწამისა და სხვა დროს რომ ეცხოვრა გახდებოდა რწმენის მოღვაწე“. - *ბ.მ. ტელენაია, Почва и судьбы „Свободная газета“ (Москва, 1999)*

„იგი კეთილშობილია, ალალი, წმინდა და განასახიერებს სიბრძნეს, მწერლის ნიჭს და სიმტკიცეს ბავშვურად გულუბრყვილო მარტვილისა, იგი მთელი სიცოცხლე ებრძოდა კომუნიზმსა და მისგან ათავისუფლებდა თავის პატარა ქვეყანას. იგი მარად დისიდენტი, რომელმაც გადაიტანა ციხეც, წამებაც და კატორღაც... იგი აღმოდებულ გემზე კაპიტნად რჩება და ურჩევნია ჩაიძიროს, ვიდრე ალაში დაუშვას, ესაა ზვიად გამსახურდია - ქართული სიბრძნის და ღირსების სიმბოლო“ - საქართველოს მოქალაქე, ჩვენი სამშობლოს ინტერესების ერთგული დამცველი ქალბატონი ვალერია ნოვოდვორსკაია.

და ამ ჩემს მიძღვნას ზვიად გამსახურდიასადმი დავასრულებ უკრაინელი ხალხის თავისუფლების ბრძოლას შენიღული დისიდენტის პეტრე გრიგორენკოს სიტყვებით: „მჯერა, დადგება დრო, როდესაც ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავის უდიდეს ეროვნულ გმირებად შერაცხავს“

(ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, N21, 1978.)

წინამართან გასროლილმა ტყვიამ ჯერ ბოროტი გაიარა და ხიბულაში ჩააღწია...

მაღლიერმა მართალმა ქართველმა მთელი გულის სინრფელით დაიტრია ზვიადი და მერაბი!

ავაზაკთაგან შუბლგანგმირული წმინდა ილია მართლის დაკრძალვის შემდეგ ქვეყანას არ მოსწონებია ასეთი რამ!

ჩვენმა მამულისთვის ნამარტვილევმა გმირებმა სიკვდილითაც ერთსულ-ერთხორც შეკრეს ტანჯული ქართველი ერი!

ზვიად გამსახურდიას იჩქერიის მიწიდან სამშობლოში დაბრუნება ხომ მთელს პლანეტაზე უჩვეულო მოვლენა იყო! და დღეს ეს ორი მამულის სარანგი განისვენებენ მთაწმინდის წმინდა მიწაზე გვერდი-გვერდ!

ქართველთათვის დღეს მთანმინდაზე სამი მუხლმოსადრეკი საფლავია...


და თუ უკვდავება უწერია ჩემს ბედზე მამულს, მაშინ თქვენი სახელები, თქვენი ღვთიური ნაღვანი უსათუოდ გაბრწყინდება და გულის ფიცარზე დაინერს მაღლიერი შთამომავლობა!

ზვიად და მერაბ, გილოცავთ 80 წლის იუბილეს!

ალექსანდრე სანდუსაქი

ჯანმრთელობა

როცა გინეკოლოგი კისტას ან მიომას აღმოგიჩენს, დალიეთ ეს ნაყენი და პრობლემები 4 დღეში გაქრება



„საშვილოსნოს მიომა“ – ამ დიაგნოზის მოსმენისას ქალბატონები ვარდებიან პანიკაში და ყველაფერ ცუდს წარმოიდგენენ, მაშინ როცა აუცილებელია გავიგოთ, რომ ამ დაავადებას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არასასიამოვნოა, ონკოლოგიურ დაავადებებთან არაფერი აკავშირებს.

ჰორმონალური დისბალანსის, სტრესის, ანთებითი პროცესების თუ აბორტის გამო საშვილოსნოს კუნთოვან ქსოვილში მოვლენები სპონტანურად ხდება.

56 წლის ვასელინ სტევიჩი აცხადებს, რომ საშვილოსნოს მიომა მისთვისაც

სერიოზული საგანგაშო ზარი იყო. იმისთვის, რომ ოპერაციას გაქცეოდა, ქალბატონმა გადაწყვიტა ხალხური რეცეპტის მიხედვით დამზადებული საშუალება გამოეყენებინა.

მიომას მკურნალობა ხალხურად

ხალხური მედიცინა დაავადების ყველაზე რთულ ფორმებსაც კი არჩენს. განსაკუთრებული ეფექტი თავლსა და ალოეზე მომზადებულ საშუალებებს აქვთ. ვასელინა 1 ს.კ. თავლსა და ალოეს დღეში 3-ჯერ 1 თვის განმავლობაში იღებდა. მისი

ექიმი გაცხადდა, რომ სიმსივნის კვალი არ აღმოაჩნდა.



ასეთ მარტივ რეცეპტს იცავდა ქალბატონი. ეფექტი

— სადესერტო ღვინო, ამზადებენ წითელი ყურძნის (კაბერნე, საფერავი და სხვა) ჯიშებისაგან. სახელწოდება მიიღო საფრანგეთის ქალაქ კაპორიდან. კაპორის დასამზადებლად დაჭყეტილი ყურ-

დი და ყველაფერი საგულდაგულად აურიეთ.

მასა დახურულ ჭურჭელში მოათავსეთ და მაცივარში შეინახეთ.

ალოეს რბილობში 200 აქტიური ინგრედიენტი, ამი-



ტური მკურნალობისთვის გამოგადგებათ მცენარე, რომელიც 3 წლისაა. 5 დღით ადრე, სანამ ფოთლებს მოაცლით, მისი მორწყვა უნდა შეწყვიტოთ.

ინგრედიენტები
1 ჭიქა ალოე ვერას რბილობი
200 გ თავლი
400 მლ კაპორი (კაპორი

ძნის მასას ათბობენ 45—50°C და უფრო მაღალ ტემპურატურაზე, ან მთელ მტვერებს 80—90°C-მდე ორთქლით, მშრალი ჰაერით, ან 2—3 წუთით ჩაყურსავენ მდულარე წყალში თუ ბადაგში).

მომზადება
ალოეს რბილობს დაუმატეთ თავლი, დაასხით კაპო-

რმოყავები, მინერალები, ვიტამინები და ფერმენტები. არ არსებობს ადამიანის ორგანიზმში ორგანო, რომელსაც ეს მცენარე არ განკურნავდა.

https://notepad.ge/article/3176?fbclid=IwAR1xbHhV2dtBT0UjT4H7LsOibXHOyJ-CZHfZrw8oYTOWamV1HIAAxt_1RKw

თუ გიყვართ კარტოფილი, შეწყვიდეთ რასაც არ უნდა აკეთებდით და წაიკითხეთ სტატია!



კარტოფილი მცენარეა, რომელიც ძალყურძენასებრთა ოჯახს მიეკუთვნება. კარტოფილი ვიტამინი B6, კალიუმის, სპილენძის, ვიტამინი C-ს, მანგანუმის, ფოსფორის, ბოჭკოვანი და პანტოტინის მჭავის წყაროა. კარტოფილი შეიცავს აგრეთვე ფიტონოუტრიენტებს, რომლებსაც აქვთ ანტიოქსიდანტური მოქმედება. წარმოადგენს კარტოფილის რამდენიმე სასარგებლო თვისებას:

- 1) ძვლის ჯანმრთელობა რკინის, ფოსფორის, კალციუმის, მაგნიუმის და თუთიის შემცველობა

კარტოფილში ხელს უწყობს ძვლის სტრუქტურის შენებას და გაძლიერებას. რკინა და თუთია გადამწყვეტ როლს თამაშობს კოლაგენის წარმოქმნაში. 2) გულის ჯანმრთელობა

კარტოფილში არსებული ბოჭკოვანის, კალიუმის, ვიტამინი C-ს და ვიტამინი B6-ს შემცველობა, ქოლესტერინის რეგულაციასთან ერთად საუკეთესოა ჯანმრთელი გულისთვის. კარტოფილი შეიცავს ბოჭკოს მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის საერთო რაოდენობის და გულის და-

ავადების რისკის შემცირებას. 3) ანთების საწინააღმდეგო ეფექტი


კარტოფილში ასევე წარმოდგენილია ქოლინი. ის მონაწილეობს ძილში, კუნთების მოძრაობაში, სწავლასა და დამახსოვრებაში. ქოლინი ასევე ამცირებს ქრონიკული ანთებას.

4) კიბო
კარტოფილი შეიცავს ფოლატს, რომელიც დნმ-ის სინთეზსა და აღდგენაში ასრულებს როლს, რაც დნმ-ში მუტაციების და კიბოს უჯრედების ჩამოყალიბების პრევენციას იწვევს.

წყარო: <http://intermedia.ge>

ეკლესია და ხელისუფლება (წმინდა იუსტინე პაპი)

მორჩილება ჯერ არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთაი (საქმე 5, 29). აი, სწორედ ეს სიტყვებია მართლმადიდებელი ეკლესიის სული და გული! ესაა მისი სახარება! სწორედ ეს არის ის, რითაც ცხოვრობს და რისთვისაც ცხოვრობს ქრისტეს ეკლესია! ამაშია მისი უკვდავება და მარადიულობა. სწორედ ამაშია მისი ნარჩუნება და ყოვლისმომცველი ღირებულება. ღმრთის მორჩილება უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებისა – ეს ეკლესიის უაღმატებულესი პრინციპია, წმიდათა წმიდა მცნება, მისი საზომთა საზომი.



ესაა მისი ყოვლისმომცველი ხარება – მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა წმიდა დოგმატის, და კანონის არსი, აქ ყოვლად დაუშვებელია რაიმეს ფასად თუნდაც სულ უმნიშვნელო დათმობა ეკლესიის მხრივ პოლიტიკური რეჟიმისადმი. ყოვლად დაუშვებელია რაიმე კომპრომისი კაცთა თუ დემონთა წინაშე, და მეტადრე – ეკლესიის წინააღმდეგ აშკარა მებრძოლთა, მის მდევნელთა და მტერთა წინაშე.

„დავემორჩილოთ ღმერთს უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებს“ – ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის ნესდებულება, მისი მარადიული და უცვლელი ნესი, მისი ნესთა ნესი, მისი საუკუნო და უცვალელებელი დამკვიდრება. ეს სიტყვებია პირველი პასუხი ეკლესიის პირველ მდევართათვის და ეს ეკლესიის პასუხია მისი ყველა მდევნელთათვისაც საუკუნეთა განმავლობაში, განკითხვის საშინელ დღემდე.

ეკლესიისთვის ღმერთი ყოველთვის პირველ ადგილზეა, ადამიანი კი – ყოველთვის მეორეზე. თუკი ადამიანები ღმერთისა და მისი კანონების წინააღმდეგ აღდგებიან, ეკლესია უნდა დაუპირისპირდეს და შეეწინააღმდეგოს მათ. და თუკი ის ამგვარად არ იქცევა, განა ეკლესიაა? და თუ ეკლესიის წარმომადგენლებიც ასე არ იქცევიან, განა სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები არიან? – არა და არა! რამეთუ საკუთარი თავის გამართლება ამ შემთხვევაში ე. წ. საეკლესიო იკონომიით – შემწყნარებლობით სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის და ეკლესიის შეფარული ღალატი. ამგვარი იკონომია ქრისტეს ეკლესიის გაცემაა.

ეკლესია მარადიულობაა დროში, დროისმიერ სამყაროში. სამყარო იცვლება, ეკლესია კი უცვალელებელია მარადის. უცვალელებელია მისი საუკუნო ღვთაებრივი სახარება, მისი მარადიული საღმრთო საიდუმლონი. ეკლესია უცვლელია, რამეთუ უცვალელებელია უფალი იესო ქრისტე; ასეთია სახარებისეული ჭეშმარიტება და სინამდვილე; „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13,8). მარადიულობა ეკლესიის მიერ დროისმიერ სამყაროში იმყოფება, რათა თვით დრო იკურთხოს მისით, განახლდეს მისით, გამარადიულდეს მისით და მას უსწორებდეს თავს. მარადიული ეკლესია კი არ უნდა უსწორებდეს თავს დროს ან დროის სულისკვეთებას და მოთხოვნას, არამედ დრო უნდა გაუსწორდეს მას და დროის სულისკვეთება უნდა დაემორჩილოს მას, როგორც საუკუნოს, მარადის უცვალელებელს; დიან, დროის სულისკვეთება უნდა გაუსწორდეს ეკლესიას – ღმერთკაცობრივი სულის მატარებელს. რამეთუ ეკლესია მარადის წმიდაა, მარადის სამოციქულოა, იგი მარადის საყოველთაოა, მარადის ღვთაებრივია და ამიტომ არასოდეს არ შესწირავს მარადიულს – დროისმიერს, ღვთაებრივს – კაცობრივს. ამის გამო ეკლესია არასდროს არ ეცდება მიესადაგოს, შეუთანხმებდეს დროის სულისკვეთებას. პირიქით, დრო უნდა მიესადაგოს ეკლესიის მარადიულობას, დროისმიერი და წარმავალი – საუკუნოსა და წარუვალს, კაცობრივი – ღმერთკაცობრივს.

ხელისუფლება ღმერთისგანაა (რომ. 13, 1-6);

ღირებულებათა იერარქია და წესრიგის იერარქია ღმერთისგანაა. ამიტომ ხელისუფლებას უნდა დავემორჩილოთ, როგორც მომწესრიგებელ ძალას, ვისაც ამ ქვეყნად ეს ღვთივმოცემული და ღვთაებრივი წესრიგი უპყრია, ვინც იცავს და ინარჩუნებს ამ წესრიგს. სხვაგვარად დაცემა იქნება და შთავარდნა უხელისუფლობაში, ანარქიაში, საყოველთაო ბოროტებაში.

ხელისუფალთ უნდა დავემორჩილოთ, რამდენადაც ისინი ღვთაებრივ წესრიგს იცავენ ამქვეყნად და რამდენადაც ისინი ღვთისმსახურნი არიან. მორჩილება ხელისუფლებისადმი აუცილებელია, რადგან მათ, ვითარცა ღმერთის მსახურებს, მახვილი უპყრიათ ხელთ, რომლითაც სჯიან ბოროტებას და იცავენ სიკეთეს. ხელისუფალთა მორჩილება საჭიროა იმიტომ, რომ ისინი, ვითარცა ღმერთის მსახურნი „არა არიან საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთათვის“ (რომ. 13, 3). მაგრამ როდესაც ხელისუფალნი კეთილის მოქმედთათვის ხდებიან საშიში, როცა ხელისუფალნი საღმრთო სიკეთეს სდევნიან, ხოლო ყველაზე მეტად ამა ქვეყნის უდიდეს სიკეთეს – უფალ იესო ქრისტეს, მის წმინდა ეკლესიას სდევნიან, მაშინ ესევეთარ ხელისუფალთ არ უნდა დავემორჩილოთ და მათი არ უნდა ვისმინოთ! ასეთ ხელისუფალთ ქრისტიანი სულიერად უნდა ებრძოდეს – კერძოდ კი ებრძოდეს წმიდა სახარებისმიერი საშუალებებით. ჭეშმარიტი ქრისტიანი არასდროს გაკადნიერდება იმად, რომ უფრო მეტად ადამიანებს დაემორჩილოს, ვიდრე – ღმერთს. განსაკუთრებით კი იმ ადამიანებს, რომელნიც ჭეშმარიტ ღმერთსა და მის სახარებას ეწინააღმდეგებიან.

ხელისუფლება იმთავითვე არის ღმერთისგან, მაგრამ როცა რომელიმე ხელისუფლება განუდგება ღმერთს და ღმერთის წინააღმდეგაც აღდგება, მაშინ იგი ძალადობად იქცევა და უკვე ღმერთისგან კი არა, ეშმაკისგან არის. ასე რომ, ჩვენ, ქრისტიანებმა, ვიცით საიდუმლო ხელისუფლებისა და საიდუმლო ძალადობისა. ხელისუფლება კურთხეულია ღვთისაგან, ეკლესიის წინააღმდეგ ძალადობა კი შეჩვენებულია ღმერთის მიერ! ყოველივე რაც ღმერთისგანაა – სიკეთეა, ხოლო თუკი ამ

სიკეთეს ბოროტად იყენებენ, აი, ეს არის ეშმაკი, ყველა სამყაროთა და მათ შორის ადამიანური სამყაროს ბოროტეშმაკეულება. ხელისუფლება ღმერთისგანაა, და სანამ იგი ღმერთში, ღმერთის მორჩილებაში და ღმერთთან ჰგებებს, იგი კურთხეულია, ხოლო თუკი რომელიმე ხელისუფლება მიატოვებს ღმერთს, იგი ძალადობად იქცევა და ამით ღმერთის მოწინააღმდეგის – ეშმაკის ხელისუფლებას უქვემდებარებს თავს.

ამგვარია სახარებისეული, სამოციქულო, წმიდა მამათა მართლმადიდებელი სწავლება ხელისუფლების ბუნებისა და ღირებულების შესახებ. ასეთია ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და უცდომელი სწავლება ამის შესახებ; ასეთია იგი დასაბამიდან დღემდე, ასეთია იგი ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ვინ მოწმობს ამას? – ყოველი წმიდა მოციქული, ყოველი წმიდა მამანი, ყოველი წმიდა მონაწილე, დანებებული წმიდა პირველმონამე სტეფანედან და დამთავრებული ჩვენი დროის ახალმონამეებით და სხვა წმიდა მონამეებით. ყველა ისინი უფალ იესო ქრისტესთვის ევენ. ყოველი ერთბაშად მეფეთაგან, ხელმწიფეთაგან და მთავართაგან ეწამნენ – ამაქვეყნის ღვთისმბრძოლ ხელისუფალთაგან და ქრისტეს ასეთ აღმსარებელთა რიცხვი არა თუ ათასები, მილიონებია! ყველა ისინი წმიდანნი და უკვდავნი არიან ვითარცა ამ საღმრთო ჭეშმარიტების მოწმეები; ქრისტიანები უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამა ქვეყნის მეფეთა, ხელმწიფეთა და მთავართა ღმერთის საწინააღმდეგო მითითებებს, ბრძანებებს, სადაც არ უნდა იყვნენ და ვინაც არ უნდა იყვნენ ისინი. ყოველი წმიდა მონამე, ქრისტეს სარწმუნოების ყოველი წმიდა აღმსარებელი ცოცხალი და უკვდავი განსახიერებაა მართლმადიდებელი ეკლესიის ამ ყოვლადწმიდა ხარებისა: „მორჩილება ჯერ არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთაი“. ყოველი მათგანი მთელი სულითა და გულით, სრული ძალითა და გონებით ადგა ამ ღვთაებრივ მცნებას და სწორედ ამისთვის აწამებდნენ, ამისთვის შეამთხვედნენ ბოროტს, ამისთვის კლავდნენ მათ ღვთისმბრძოლი ხელისუფალნი საუკუნეთა განმავლობაში.

აი, მხოლოდ მცირედენი ამ უთვალავ და უკვდავ მოწამეთაგან:

წმიდა მონამე გლიკერიოს ხუცესი (+303, ხს. 28 დეკემბერს); ქრისტიანთა მდევნელმა იმპერატორმა მაქსიმიანემ უამრავი ქრისტიანი შეყარა ნიკომიდის დიდ ტაძარში და დაემუქრა – ყველას ტაძართან ერთად დაგვავით, თუკი ქრისტეს არ უარყოფთო. მაშინ გლიკერიოს ხუცესმა ასე მიმართა ხელმწიფეს: „შენს მიერ დაპირებული საჩუქრები და სიკეთენი არ გვიზიდავს ჩვენ, ჰოი, მეუფეო, ხოლო შენი მუქარისა არ გვეშინის. ყოველივე ამქვეყნად ჩვენთვის სიზმარითაა და ჩვენ მწუხარებად და საღმრთო სასჯელად შევრაცხავდით იმას, თუკი უსასტიკეს ტანჯვა-წამებას არ დავითმენდით ქრისტესთვის. ჩვენ არ გვეშინის მდევნელებისა, რამეთუ მეუფემ ყოველთამან ის იარაღი მოგვმადლა ზეგარდმო, რომლითაც ჩვენ ისევე აღვიჭურვებით ახლა და იმგვარადავე ვიცავთ თავს, როგორადაც შენ გიცავენ შენი საჭურველმტვირთავნი. შენ რომ გეწინააღმდეგებით, ამით ჩვენ მტკიცედ ვიმედოვნებთ, საკვირველი ძლევა მოვიპოვოთ, რამეთუ როცა გვხოცავენ, სწორედ მაშინ ვიმარჯვებთ და როცა დაგვცემენ, სწორედ მაშინ ვძლევთ ჩვენს მდევნელთ“. უკეთური ხელმწიფის ბრძანებით გლიკერიოს ხუცესი და ოცი ათასამდე ნიკომიდელი ქრისტიანი ტაძარში დანგეს!

წყარო: <https://didgori.wordpress.com/2009/02/28/eklesia-da-xelisufleba>

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>
ელ. ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com